საქართველოს პარლამენტი

# საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 15836
„12" 12 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

## დ ა ს კ ვ ნ ა

### საქართველოს პარლამენტის წევრის ლაშა ჟვანიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 12 დეკემბერს სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის ლაშა ჟვანიასათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი მის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. დადასტურდა, რომ ბატონი ლაშა ჟვანია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 9 დეკემბრის №421 ბრძანებით დაინიშნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს ლაშა ჟვანიას ვადამდე უნდა შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარე

ხათუნა გოგორიშვილი

შემსრულებელი: ა.წურწუმია
ტელ: 281316